პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

24 ივნისი შაბათი 1972 წელი 2 ფასი 2 კაპ.

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 147 (15360)

ხუთწლედი—ვადამდე!

შეჯიბრება ქალს იჭრეს

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში კარგად ცნობილია შრომის ვეტერანის ივანე ბაგაურის სახელი. იგი აქ ოცდაათიან წლებში მოვიდა. მუშაობის ამ ხნის განმავლობაში ზეინკლმა მდიდარი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა, რასაც სიამოვნებით უზიარებს ახალგაზრდა მუშებს.

პენსიაზე გასვლის შემდეგ შრომის ვეტერანი სახლში ვერ ისვენებდა, ხშირად მოდიოდა ქარხანაში, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ამიტომ იგი საწარმოში დაბრუნდა, თავის დაზგასთან დადგა, სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებას. ამჟამად ივანე ბაგაურის გვერდით 40 მისი ყოფილი მოწაფე შრომობს. სურათზე: ი. ბაგაური (მარცხნივ) გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშებს.

ა. რუხაძის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲛᲝᲒᲔᲑᲐ—ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1972 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 147 (15360)

ᲛᲝᲒᲔᲑᲐ—ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხი ემზადება ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მოსკოველებმა დაიწყეს, მთელ ქვეყანაში გავრცელდა. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გადადებული ვალდებულებები იკისრეს. ერთ-ერთ პირველ მუხლად ჩაწერეს, რომ აამაღლებენ წარმოების რენტაბელობას, სამშობლოს მისცემენ რაც შეიძლება მეტ მოგებას.

ვალდებულების აღებიდან საქმიო დრო გავიდა, საიუბილეო წლის პირველი ნახევარი იწურება, რა გაკეთდა რესპუბლიკის საწარმოებში, როგორ ასრულებენ დაპირებას?

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულეს. გადაჭარბებით არის განაღდებული მოგების ოთხი თვის გეგმაც. ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა. მათ ბევრად გადაამტეტეს მოგების გეგმებს, სამშობლოს დიდი ეკონომია მისცეს. მკვეთრად გაუმჯობესეს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მტკიცედ განახორციელეს მანეთით კონტროლი, ყველა უბანზე იმუშავეს ყაირათიანად და მიმდინარე წლის მარტო ოთხ თვეში მოგების გეგმას 12 ათასი მანეთით გადააჭარბეს. კომუნისტური შრომის საწარმომ — კერამიკული კომბინატის კოლექტივმა 9 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო; ქუთაისის საავეჯო ფაბრიკამ — 75 ათასი მანეთი, წულუკიძის ძაფსალიბსაგრები ფაბრიკის კოლექტივმა — 54 ათასი მანეთი. მოგების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე თბილისის ტყავსაბალანტერიო და მისაბი სამკერვალო ფაბრიკების, ქუთაისის აბრეშუმის საწარმო გაერთიანებამ ოა მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

მაგრამ, სამწუხაროა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არიან საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ მოგების გეგმებს, უშვიბენ დიდ გადახარჯვებს და სახელმწიფოს ზარალს აყენებენ, აუარესებენ თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობას და უკან ეწევიან რესპუბლიკის მაჩვენებლებს. ამ საქმეში ძალიან სცოდავენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები: ლიფლოს საშენ მასალათა კომბინატმა ხუთ თვეში 124 ათასი მანეთი დაკლო მოგების გეგმას, ასევე სამარეხვინოდ ჩამორჩენიან ქუთაისის, სამტრედიის და ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატები, ცხინვალის სტყიო კომბინატი, თბილისის მეორე საავეჯო და ბაბის ფაბრიკები. ქუთაისის ბაბის საქსოვი საწარმოო გაერთიანება. ასეთი მაგალითი ასობით არის.

რატომ ხდება ასე? ჩამორჩენილი საწარმოების სამეურნეო ხელმძღვანელობამ, პარტიულ მა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ეკონომიური სამსახურის მუშაკებმა დაიგიწყეს მანეთით კონტროლი, უყაირათობას არ გამოუცხადის სასტიკი ბრძოლა, ღრმა ანალიზს არ უკეთებენ ყოველი თვის მუშაობის შედეგებს, არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და რიზერვების ასამოქმედებლად. მათ დაივიწყეს, რომ ყაირათიანობა ოა მომჭირნეობა ხანმოკლე კამპანია არ არის.

სკკპ XXIV კონგრესზე ამბანაამა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ერთი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფესაბჭომ ოა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა მშრომელებს მიმართეს წერილით სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. ეს წერილი საფუძვლად დაედო დიდ მასობრივ მუშაობას, რომელმაც კარგი შედეგი მოგვცა. მაგრამ ყველა რეზერვის გამოყენება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობისა და ზედმეტობის წინააღმდეგ ხანმოკლე კამპანია როდია. საქმე ეხება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებას. მუშაობა ამ მიმართულებით ყოველნაირად უნდა გავაძლიერეროთ“.

საქართველოს მრეწველობა ახლა გიგანტური ძალაა. მის სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, წარმოების ყველაზე პროგრესული მეთოდების შემოღება საშუალებას მოგვცემს იმავე აგრეგატებით, იმავე მანქანებითა და მექანიზმებით, ნაკლები დანახარჯებით გამოვუშვათ გაცილებით მეტი პროდუქცია. მაგრამ ჩვენ ჯერ მთლიანად კიდევ ვერ ვიღებთ ტექნიკისაგან იმას, რისი მოცემა მას შეუძლია. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეები ცუდად არის გამოყენებული. როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, ზოგ ფაბრიკასა და ქარხანაში ურიგდებიან იმას, რომ მასალების, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მატერიალური ფასეულობის არამომჭირნეობის ხარჯვა დიდ დანაკარგებს იწვევს, ამასთან ხშირად ირღვევა ხარჯვის დაწესებული ნორმები.

დღეს, როცა კომუნისტური პარტია სკკპ XXIV კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე ზრუნავს ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმს, რენტაბელურ მუშაობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. რაც უფრო სრულად და რაციონალურად გამოვიყენებთ საწარმოო რესურსებს, რაც უფრო ყაირათიანად და ანგარიშიანად ვაწარმოებთ ჩვენს მეურნეობას, მით უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მით უფრო მეტ შედეგებს მივაღწევთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

წარმოების სწორი ხელმძღვანელობა, მეურნეობის უნარიანი ხელოვნა საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ობიექტური ეკონომიური კანონების გულდასმით შესწავლას და საზოგადოების ინტერესებისათვის მათს გამოყენებას. ყოველდღიურად უნდა ვისწავლოთ მანეთით კონტროლი, დაუცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ საწარმოთა რენტაბელობისათვის, მომჭირნეობის უაღრესად მაცარი რეჟიმის განხორციელების საკითხები ყოველთვის უნდა იყოს მთელი ჩვენი სამეურნეო ოა პარტიული მუშაობის ცენტრში.

წარმოების რენტაბელური მუშაობის საქმეში დიდია ეკონომიური სამსახურის მუშაკთა როლი. ისინი მოიალონი არიან დროულად აღმოაჩინონ ნაკლოვანებები. დაიხმარონ საწარმოთა კოლექტივებს გამოავლინონ შინაგანი რეზერვები, შეიმუშაონ ოპერატიული დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემა, მატერიალური წახალისებისა და სანქციების წესი, რომელიც საკავშირო მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს ი. ქანთარიას გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და მესამე ხარისხის დიპლომი.

ᲓᲣᲨᲘᲗᲘ. (საკ. კორ.). ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველ წელს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა, მუშა-მოსამსახურეებმა.

შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით ინგირის მეურნეობას მიეკუთვნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა, პირველი ფულადი პრემია და საკავშირო პროფსაბჭოს მესამე ხარისხის დიპლომი.

ამ დღეებში დიდი ზეიმი იყო ინგირში. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. პალადინამ ინგირელებს მიულოცა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს ი. ქანთარიას გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და მესამე ხარისხის დიპლომი.

ᲓᲣᲨᲘᲗᲘ. (საკ. კორ.). მაჭარეთის კოლმეურნეობის წევრები ყოველწლიურად ზრდიან პირუტყვის სულადობას, აფართოებენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას, ეკონომიურად იყენებენ ფულად სახსრებს, მაჭარეთელებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს გასულ სამეურნეო წელს, რისთვისაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს.

დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ეცადაშვილმა, მანვე საპატიო ჯილდო გადასცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. აფცაურს.

მაჭარეთელ მეცხვარეებს დამსახურებული ჯილდო მიიღო ცაბარეთის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შაფურმა.

კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა, უფროსმა ზოოტექნიკოსმა მ. წიკლაურმა და ახალგაზრდა მწყემსმა ჯ. აფცაურმა კოლმეურნეთა სახელით პირობა დადეს, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად თავდადებით იშრომებენ და ნაყისრ ვალდებულებებს წარმატებით გაანაღდებენ.

ᲧᲣᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲘ — ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲡ!

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). მინდვრად, ტყისა და გზის პირებზე ზამთრის საოვრ ებზე ბალახი უსვად წამოიზარდა. ამასთან რვა ათას ჰექტარზე მეტი ფართობი ერთწლიან და მრავალწლიან ნათეს ბალახებს უჭირავს. ეს ყოველივე დიდი მარაგია, საიდანაც წყლს რაიონის კოლმეურნეობები 15.000 ტონა თივას, 10.000 ტონა სენაჟს და 55.000 ტონა სილოსს დაამზადებენ.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების, ყველა მეცხოველისა და მექანიზატორის ყურადღება ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ პირუტყვის საკვების ეს დიდი მოსავალი აიღონ და დაბინაონ რაც შეიძლება სწრაფად, არ დაუშვან ბალახების გადამწიფება და გაუხეშება. საწარმოო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში შეიქმნა საკვებმომპოვებელთა ახალგაზრდული ბრიგადები, რგოლები. ისინი ერთიმეორეს ეჯიბრებიან.

ყველაზე საუკეთესო ნათესი და მინდვრის ბალახები მაღალყუათიანი საკვების — სენაჟისათვის არის განკუთვნილი. ის დიდი რაოდენობით აქვთ დამზადებული სოფლების ჯაფარიძის, გამარჯვების, ზემო ქედისა და წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს.

წითელწყაროელ მექანიზატორებს, მეცხოველეებს დიდი გამოცდილება აქვთ აგრეთვე ხარისხოვანი თივისა და სილოსის დამზადების საქმეში. ბალახების თიბვაზე ახლა ასზე მეტი სათიბი მანქანა და ხუთასამდე კოლმეურნე მუშაობს. უკვე გათიბული და დაზვინულია 5.000 ტონა თივა. ამ საქმეში დაწინაურდნენ სოფლების საბათელოს, ზემო მაჩხაანისა და წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს სილოსის დამზადება. დღეისათვის გეგმის შესრულება ათ პროცენტს არ აღემატება. მართალია, იგი ძირითადად სანაწვარაღო სიმინდის ნათესებიდან უნდა დამზადდეს, მაგრამ მარტო მათზე დაყრდნობა არ იქნება გამართლებული.

სოფელ არხილოსკალოს, ჯაფარიძის, ზემო ქედის, ბალახის, ოფლაგის, ბაბანეულის, ბაბანეულის, ბაბანეულ

ამერიკის ხმა

ლენინური სამშვიდობო პოლიტიკა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის მაისის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა ლენინიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა შემჭიდროებისათვის, იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. მან ცხადყო, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი სწორი და ცხოველმყოფელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის პრინციპული, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირეულ ინტერესებს, აქტიურად უწყობს ხელს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის მოგერიებას“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘ Ვ. ᲒᲐᲜᲘ ᲘᲣᲬᲔᲑᲡ: დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა გამოსვლები წარმომადგენელთა პალატის მეცნიერებისა და კოსმოსური კვლევის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის ქვეკომისიაში.

„ამ შეთანხმებების ხელმოწერამ, აგრეთვე გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის შექმნის შესახებ, — აღნიშნა, კერძოდ, თავის განცხადებაში კონგრესმენებისადმი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის „ბელ ტელეფონ ლაბორატორისის“ პრეზიდენტმა ჯ. ფისკმა, — შეიძლება დიდად გაეუმჯობესოს ცოდნის გაზიარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ორივე ქვეყნის ხალხთა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმის სასარგებლოდ“.

მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებების დიდი მნიშვნელობა აღნიშნა თავის გამოსვლაში გარემოს ხარისხის საკითხთა საბჭოს წევრმა გ. მაკდონალდმა. მან განაცხადა, რომ ეს შეთანხმებანი „მიმართული იქნება გრძელვადიანი პრობლემების გადაჭრისათვის“...

მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ამერიკას შეუძლია „ძალიან ბევრი რამ ისწავლოს საბჭოთა კავშირისაგან, რომელსაც აღებული აქვს გეზი გარემოს დაცვის ღონისძიებათა პერსპექტიულ დაგეგმვაზე“.

სსრ კავშირის მთავრობასა და ამერიკის მთავრობას შორის დადებულ შეთანხმებას მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დარგში თანამშრომლობის შესახებ მოუძღვნა თავისი გამოსვლა ქვეკომისიაში ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის სპეციალურმა თანაშემწემ რ. ეჯიბერგმა. „მე მიმაჩნია, — თქვა მან, — რომ ეს პროგრამა მრავლისაღმქმელია არა მარტო ორი დიდი სახელმწიფოსათვის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობისათვის“.

„ჩემი გამონათქვამები, — ხაზი გაუსვა დასასრულ სამინისტროს წარმომადგენელმა, გამოხატავენ ენთუზიაზმს, რომელსაც მე და ჩემი კოლეგები განიცდით ახალი ორმხრივი შეთანხმების გამო. ჩვენ მივვაჭინა, რომ ეს პროგრამა შეიძლება ფრიად მნიშვნელოვანი იყოს ხალხთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, აგრეთვე დაგვეხმაროს გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘ Ვ. ᲒᲐᲜᲘ ᲘᲣᲬᲔᲑᲡ: დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სატანკო ნაწილებმა, რომლებიც მოწინააღმდეგეს დევნიან, დღეს გადალახეს მდინარე მეტიანი, რომლის სამხრეთ ნაპირზე გადის ქალაქ ჰიუეს თავდაცვის ხაზი. ამან განავითარა პატრიოტთა ოპერაცია საიგონის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ განთავისუფლებულ ქალაქ კუანგჩისაკენ.

ბრძოლები გრძელდება ცენტრალურ პლატოზე კონტუმის გარშემო. პატრიოტები იგერეზენ საიგონის ჯარების ცდებს — დაეუფლონ ტიუპაოს დიდმნიშვნელოვან მაღლობს, რომელიც კონტროლს უწევს № 14 სტრატეგიულ ზაჭკეცილს კონტუმსა და პლეიკუს შორის.

უწინდებურად ალყაშემორტყმულია მოწინააღმდეგის გარნიზონი ანლოკში, პროვინციის ცენტრში საიგონის ჩრდილოეთით 90 კილომეტრზე. საიგონის ჯარების დიდი კონტინგენტები, მიუხედავად ავიაციის მხარდაჭერისა, გამანადგურებელ მარცხს განიცდიან, როცა ცდილობენ გაიჭრნენ ანლოკისაკენ № 13 გზით.

ამერიკის სარდლობამ გამოაცხადა, რომ დაიკარგა შეერთებული შტატების კიდევ ორი ვერტმფრინავი ანლოკის რაიონში. ვერტმფრინავების ეკიპაჟები და ერთ-ერთ მათგანში მყოფი ამერიკელი მრჩეველი დაიღუპნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია კვლავ ბომბავს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებს. სარდლობის განცხადების თანახმად, სტრატეგიული „ბ-52“ ბომბდამშენების გუშინდელი თავდასხმების დროს ჩამოყარეს დაახლოებით 2 ათასი ტონა ბომბი.

ᲙᲐᲜᲩᲘ. 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). განთავისუფლების პრესის სააგენტო ეუწყება, რომ კანჩის პროვინციაში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა ლილ წარმატება მოიპოვეს.

ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ

ᲤᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘᲗᲘ მუშაობას განაგრძობს ისრაელის კომპარტიის XVII ყრილობა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ნ. გრიშინის გამოსვლას, რომელმაც წაიკითხა სკკპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი ისრაელის კომპარტიის XVII ყრილობისადმი.

(საკდესი).

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲐᲠ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲐᲗ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). მარცხით დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ცდა ზეგავლენა მოეხდინა ერაყზე საერთაშორისო საფინანსო ორგანოების მეოხებით.

ერაყის მთავრობის უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ ნავთობის კონცერნის „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის შემადგენლობაში „მეპაიებად“ შედიოდა ამერიკის ნავთობის ორი მონოპოლია — „მობილ ოილ კორპორეიშნი“ და „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსი“, ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მაგნატების გაბოროტება და მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ვაშინგტონში დაბინავებულ მარეკანსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა, რომელსაც კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატები, სცადა ეკონომიური ზეგავლენა მოეხდინა ერაყზე, როცა ბანკში განიხილავდნენ საკითხს, რომ ერაყისათვის სესხად გამოეყოთ 13,4 მილიონი დოლარი განათლების გასავითარებლად ამერიკის წარმომადგენელი შეეცადა გადაედო სესხის მიცემის ვადა.

მაგრამ ამ დემარშმა მიზანს ვერ მიაღწია. ბანკის გამგეობის დანარჩენმა წევრებმა მხარი არ დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას და ერაყისათვის სესხის მიცემის საკითხს კენჭი უყარეს, ამერიკის შეერთებული შტატები მარტო აღმოჩნდა.

ᲓᲐᲙᲐ

ᲛᲣᲥᲘᲑᲣᲠ ᲠᲐᲙᲛᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ბანგლადეშის მთავრობამ გააჩაღა კამპანია სპეკულანტთა, კონტრაბანდისტთა და სხვა ანტიოციალურ ელემენტთა წინააღმდეგ, რომელთა ძირგამომხრეული საქმიანობა აღრმავებს ეკონომიურ სიძნელეებს, რასაც ახლა განიცდის ახალგაზრდა რესპუბლიკა.

ეს განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაქმანმა დღეს ქალაქ ნოაკჰალში (სამხრეთი ბანგლადეში) გამართულ მასობრივ მიტინგზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბანგლადეშის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავიდან მოიშოროს მტრული ანტისოციალური ელემენტები ხალხის ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუჯიბურ რაქმანმა აგრეთვე თქვა, რომ ბანგლადეშის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა უმოკლეს ვადებში დაძლიოს სიძნელენი და გადაჭრას ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები.

ᲓᲐᲙᲐ

ᲛᲣᲥᲘᲑᲣᲠ ᲠᲐᲙᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ბანგლადეშის მთავრობამ გააჩაღა კამპანია სპეკულანტთა, კონტრაბანდისტთა და სხვა ანტიოციალურ ელემენტთა წინააღმდეგ, რომელთა ძირგამომხრეული საქმიანობა აღრმავებს ეკონომიურ სიძნელეებს, რასაც ახლა განიცდის ახალგაზრდა რესპუბლიკა.

ეს განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაქმანმა დღეს ქალაქ ნოაკჰალში (სამხრეთი ბანგლადეში) გამართულ მასობრივ მიტინგზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბანგლადეშის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავიდან მოიშოროს მტრული ანტისოციალური ელემენტები ხალხის ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუჯიბურ რაქმანმა აგრეთვე თქვა, რომ ბანგლადეშის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა უმოკლეს ვადებში დაძლიოს სიძნელენი და გადაჭრას ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ. ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲮᲔᲚ-ᲙᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲐᲡᲘᲜᲔᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ლონდონის პოლიციელები აპატიმრებენ დემონსტრაციის მონაწილეს.

ᲘᲣᲯᲘ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ფოტო.

ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐ

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

##

მიეძღვნა იუბილეს

ერთი დიდი გაკვეთილი

ᲮᲘᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). „ერთი დიდი გაკვეთილი“ — ასე უწოდეს მოსწავლეებმა ღონისძიებას, რომელიც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა და საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა.

ამ დღეს მოსწავლეებს ესტუმრნენ მრავალნაირი პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები. გაიმართა გულღია საუბარი. პიონერ-მოსწავლეები სტუმრებს აძლევდნენ კითხვებს სწავლა-აღზრდის, ქალაქის კეთილმოწყობის, საბჭოთა კავშირის შექმნისა და კომკავშირულ-პიონერული ცხოვრების, საზოგადოებრივი წესრიგის საინტერესო საკითხებზე.

მოსწავლეებს დამაჯერებელი პასუხი გასცეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ, ქალაქის პროკურორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა იურისტმა შ. მიროტაძემ, საქართველოს ალკა ჭიათურის ქალაქკომის პირველმა მდივანმა ს. გაფრინდაშვილმა, სოფელ ზოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. იობაშვილმა, ქალაქის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერების კანდიდატმა შ. ხეცურიანმა, მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ს. კაპანაძემ, ჭიათურის № 20 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ბ. წერეთელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ბარათაშვილმა, მხატვარმა ო. ცერცვაძემ, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ბარათაშვილმა.

ერთმა დიდმა გაკვეთილმა შინაარსიანად ჩაიარა. ამ ღონისძიებით მოსწავლე ახალგაზრდობამ ბევრი რამ საინტერესო შეიტყო.

პ. ᲮᲘᲝᲙᲐᲫᲔ.

ორი ეზო

წერილების მიმოხილვა

ᲛᲝᲘᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲘ წლის 25 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ჩვენი მკითხველის მ. გორდაძის კორესპონდენცია „ორი ეზო“. ეს იყო ერთ ერთი საყურადღებო წერილი ჩვენი სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობის თემაზე, რაზეც ჩვენი გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს მასალებს საერთო სათაურით — „მოუარე, დაამშვენე შენი ქალაქი, შენი სოფელი, კარმიდამო“. წერილში ღიდაქალაქის ორი ეზოს მაგალითზე, ნაჩვენები იყო, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია თვით მოსახლეობას თავისი ქალაქის, ქუჩის, სახლის სასიკეთოდ, თუ მონდომებასა და ინიციატივას გამოიჩენს. ხოლო იქ, სადაც მობინადრენი უბეღოდ, უყურადღებოდ ეცოდინან საკუთარი ეზოს წესრიგში მოყვანას და კეთილმოწყობას, თვითონვე არიან შეწუხებულნი და გამწარებულნი.

ბოლოს რედაქცია მკითხველებს სთხოვდა მოიწერათ კარგ ეზოებსა და მათს მობინადრეებზე, არც ნაკლოვანებათა მხილებას მორიდებოდნენ და მოიწერათ იმათზეც, ვინც არღვევს საზოგადოების საერთო ცხოვრების წესებს, ანაგვიანებს ეზოს, ქუჩას, არ უფრთხილდება, აფუჭებს ნარგავებს.

რედაქციამ უამრავი გამოხმაურება მიიღო. საქართველოს ყველა კუთხიდან, თითქმის ყველა ქალაქიდან და სოფლიდან მოვიდა მკითხველთა წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ ქუჩების, მოედნების, ეზოების, გზის პირების კეთილმოწყობასა და გამშვენებაზე, ამ საქმის ინიციატორებსა და ენთუზიასტებზე.

ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲝᲤᲜᲘᲗ და ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲝᲤᲜᲘᲗ ᲒᲐᲯᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ, ᲥᲣᲩᲘᲡ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲗᲝᲡ, ᲗᲣ ᲐᲮᲚ ᲠᲘᲛᲔᲗᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲖᲝᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ.

ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲑᲐᲪ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲔᲖᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐᲖᲔᲗᲐ. ᲐᲪᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲡ ᲠᲘᲦᲐᲥᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲐᲠ ᲣᲠᲬᲛᲝᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲔᲖᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐᲖᲔᲗᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲡ ᲠᲘᲦᲐᲥᲘᲪᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 6-ᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲖᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ. ᲠᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ. ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ. ᲔᲖᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲡ ᲠᲘᲦᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲛᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 25 სახლის მობინადრეებმა. ისინი გვწერენ, რომ მათი სახლის ეზოში მობინადრეების გარდა განლაგებული არიან სხვადასხვა დაწესებულებანი — საქმონგადასვლელშენის სამშენებლო სარემონტო სამმართველო, პურის მაღაზია, პროდუქტების მაღაზია... წერილის ავტორები მოითხოვენ მობინადრეებთან ერთად ამ დაწესებულებათა კოლექტივებმაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა ეზოს კეთილმოწყობაში.

რ. ᲑᲠᲝᲙᲘᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ წერილში სამდურავია გამოთქმული თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს მისამართით, რომელმაც ვაჟა-ფშაველას ქ. № 45 (ამჟამად 51) სახლის ეზოსა და სკვერში სამუშაოთა საწარმოებლად ამოთხარა ღრმა ორმო, გაიყვანა თხრილები, ამოიღეს ხეები. ამის შედეგად დადგა გუბეები, ლაფი, მტვერი. ერთი სიტყვით, ეზო მთლიანად აოხრდა. და გაპარტახდა. შემდეგ ამას ისიც დაემატა, რომ მეტრომშენებლებმა ჩვენი ეზო ასაქცევ გზად გაიხადეს. ერთ საქმეს აკეთებდე და მეორე გაგიფუჭო, ეს რა წესია!

მეტად საყურადღებოა თბილისის კეკელიძის ქ. № 3 სახლის მობინადრეთა კოლექტიური წერილი რედაქციისადმი. ეს სახლი კოთეჯრატიული ბინათმშენებლობის წესით აშენდა და ამ რვა წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. ეზო კი დღემდე მშენებლობის ნაგვითა და მიწაყრილით არის სავსე. ეზოს კეთილმოწყობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ეზოში დგას ძველი, ავარიული სახლი, რომელშიც მოქალაქე დარჩიაშვილის ოჯახი ცხოვრობს. ამ ოჯახისათვის ხელშეკრულების თანახმად ბინა უნდა მიეცა კოოპერატივის გამგეობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა პირობა არ შეასრულა. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ დავა დღემდე გრძელდება. მობინადრენი კი შევიწროებული და შეწუხებული არიან. ეზოში საშინელი ანტისანიტარიაა გამეფებული. საჭიროა საქმეში ჩაერიონ სათანადო ორგანოები, რათა მობინადრეთა ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღოს.

წერილები ასობით არის, მიმოხილვაში ყველას მოხსენიება შეუძლებელია. მკითხველები დიდი ინტერესით, საქმიანად, გულისხმიერად გამოეხმაურნენ მ. გორდაძის წერილს, — „ორი ეზო“.

თუ ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილი ხარ, შენი ქალაქის, შენი სოფლის კეთილმოწყობისათვის ზრუნვა შენს მოვალეობად უნდა მიგაჩნდეს და უნდა ეცადო შენს ეზოს, ქუჩას, უბანს ერთი-ორი ძირი ხე მაინც შემატო, ხოლო ის, ვისაც გული არ შესტკივა, ვინც უდიერად, ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს, უნდა გაკიცხო და შეარცხვინო, — ასეთია მკითხველთა წერილების დედააზრი და საერთო სულისკვეთება.

უფოსტალიონოდ...

წერილი კომეენტარით

ᲒᲮᲐᲯᲐᲜᲘᲐᲨ რაიონის სოფელ ნოსირის საოდიშარიოს უბნის მცხოვრებლებს გამოწერილი გვაქვს ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ფოსტალიონმა ორი თვეა მიატოვა მუშაობა და ახლა არავინ არის, რომ მოგვაწოდოს ნაბეჭდი პროდუქცია. ფოსტის გამგემ ასე გვიპასუხა: **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲝ...**

ᲐᲡᲔᲗᲘ კრიტიკული შენიშვნა გაუგზავნეს რედაქციას სოფელ ნოსირის ზემოაღნიშნული უბნის მშრომელებმა. ჩავედით ამ სოფელში. ფოსტაში ოპერატორი ე. ნორაკიძე დაგვხვდა. გამოირკვა, რომ ყოფილმა ფოსტალიონმა მ. გოკაძემ ორი თვის წინათ მიატოვა სამუშაო...

ისე კი ხუმრობა საქმე როდია მიაწოდო მშრომელს 15-20-მდე დასახელების 1.500 ცალამდე ჟურნალ-გაზეთი, ასობით წერილი, სხვა საფოსტო გზავნილებანი. ადამიანები მოითხოვენ ნორმალურ მომსახურებას. მაგრამ ეს ძნელდება იმის გამოც, რომ მომსახურება ისევ ძველი, პრიმიტიული წესით ხდება. რატომ არ შეიძლება შრომა შეეუმსუბუქოთ ფოსტალიონებს — მაინ მომსახურების უბნის ცენტრში მოტოროლერით მივუტანოთ მძიმე ტვირთი, რომ მერე იგი იოლად გაანაწილონ და დროზე მიაწოდონ ადრესატებს?

სიტყვა სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებს ეკუთვნით.

Ბ. ᲛᲘᲚᲘᲣᲤᲘᲜᲘ.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო — საბიუჯეტო, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, კულტურის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიების სხდომები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ᲛᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ განიხილა შრომის დისციპლინის მდგომარეობის საკითხი რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში. სხდომაზე აღინიშნა, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საწარმოებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, შემცირდა კადრების დენადობა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ამასთან აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოში ნაკლოვანებანია შრომის დისციპლინის დაცვის საქმეში. მაღალია მუშახელის დენადობის მაჩვენებელი გორის ბამბეულის კომბინატში — (23 პროცენტი), რუსთავის ქიმიურ კომბინატში (14,3 პროცენტი), „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის საწარმოებში (13,3 პროცენტი).

ᲛᲣᲨᲣᲥᲘᲡ ᲛᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ განიხილა ტრანსპორტის, საავტომობილო და საგზაო მეურნეობის, ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკის, ინფორმაციისა და ავტომატიზაციის, ელექტრონული ტექნიკის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ელექტრული ნათურების, ელექტრული ტუჩა-ფანრების, ელექტრული ტუჩა-ფანრების ბაზის, ელექტროენერგეტიკის, ატომურ ენერგიის, ნავთობის, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობქიმიური, ქიმიური, ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხის გადამამუშავებელი, ხეტყის, ხეტყის ქიმიური გადამუშავების, ხეტყის ქიმიური გადამუშავების, ხეტყის ქიმიური გადამუშავების

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი

ნონა გაფრინდაშვილმა ქვლავ შეინარჩუნა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი



უკანასკნელ ტურებში წარმატებით თამაშობა ა. კუშნირის ერთგვარი იმედი მიხცა. მეთხუთმეტე პარტიას დიდი პრინციპული მნიშვნელობა მიენიჭა.

პრეტენდენტმა მერვედ(!) მიმართა სიცილიურ დაცვას. ამის საპასუხოდ ნ. გაფრინდაშვილმა ფრიად უსიამოვნო სიურპრიზი მიუტანა მეტოქეს. მან „არქივიდან ამოიღო“ მივიწყებული გაგრძელება და უკვე მესამე სვლიდან აიძულა შავები დიდი დრო დაეხარჯოთ აქტიური თამაშის გეგმის მოძებნისათვის.

ეს ა. კუშნირმა მოახერხა კიდეც — გაამწვავა თამაში, მაგრამ თეთრები სავსებით მომზადებულნი შეხვდნენ პრეტენდენტის „აგრეხიას“. 22-ე სვლაზე კუშნირმა მსოფლიოს ჩემპიონს ლაზიერის გაცვლა შესთავაზა. ეს თითქოს მოულოდნელი იყო, მაგრამ გაცვლის შემთხვევაში შავები უკეთეს ენდშპილს იღებდნენ.

ნ. გაფრინდაშვილმა, ცხადია, სხვა გაგრძელება აირჩია. მან სწორად შეაფასა პოზიცია: შავებს არ შეეძლოთ რაიმე რეალური მუქარის შექმნა მეფის ფრთაზე. ამასთანავე მათ ანგარიში უნდა გაეწიათ იმისათვის, რომ თეთრებს კიდური გამსვლელი პაიკი წინ დაეძრა. როდესაც ამ პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია, კუშნირი იძულებული გახდა ეტლის შეწირვით თვით მიეღწია ყაიმისათვის მუდმივი ქიშით. ასეთი შედეგი კი მსოფლიოს ჩემპიონს სავსებით აძლევდა ხელს.

ამრიგად, ანგარიში გახდა 8:7. ნ. გაფრინდაშვილმა მესამედ შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონობა!

მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად ორშაბათს, 26 ივნისს გაიმართება უკანასკნელი, მეთექვსმეტე პარტია. თეთრებით ითამაშებს კუშნირი.

დამთავრდა თუ არა პარტია, ნ. გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ მის მიერ კუშნირთან გათამაშებული სამი მატჩიდან ახლანდელი ყველაზე უფრო დაძაბული იყო. სწორედ მან გამოიწვია ყველაზე დიდი ინტერესი. პრეტენდენტი ჩინებულად იყო მომზადებული და ზოგ შეხვედრაში დიდი აღმავლობით თამაშობდა.

ახლა სად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი? უკვე სექტემბერში იგი სათავეში ჩაუდგება საბჭოთა კავშირის ნაკრებს ქალთა შორის, ითამაშებს სკოპლეში (იუგოსლავია) საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ჩვენს გუნდში გამოვლენ აგრეთვე ა. კუშნირი და ნ. ალექსანდრია. როგორც ცნობილი გახდა, გუნდის მწვრთნელები იქნებიან გროსმაისტერი ა. გიპსლისი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი.

დეკემბერში ნ. გაფრინდაშვილი აპირებს აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ქ. ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია), ხოლო იანვარში, ეტყობა, ვაუთა ერთ-ერთ საახალწლო საერთაშორისო ტურნირში გამოვა.

ეს უკვალოფერი მომავლის გეგმებია, რიგაში კი ერთი პარტია რჩება გასათამაშებელი. ეს უკანასკნელი შეხვედრა გაიმართება, როგორც ვთქვით, ორშაბათს. საუურადღებოა აღინიშნოს, რომ ეს იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, საიუბილეო, 50-ე პარტია თანამედროვეობის ამ ორ წამყვან მოჭადრაკეს შორის. ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო სამ მატჩს, არამედ ყველა სატურნირო პარტიასაც. ამასთან მსოფლიოს ჩემპიონის უპირატესობა სოლიდურია: 30:19!

XV პარტია

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ♞f3 e6 3. c3 ♞f6 4. e5 ♞d5 5. d4 cd 6. cd ♗e7 7. a3 b6 8. ♗d3 ♗a6 9. 0—0 0—0 10. ♖e1 ♗:d3 11. ♕:d3 ♞c6 12. ♞bd2 f5 13. ef ♗:f6 14. ♞e4 ♕e8 15. ♞g3 ♕f7 16. ♗e3 ♗e7 17. ♖ad1 ♖ac8 18. ♗d2 ♗f6 19. b4 a6 20. ♞e4 ♕g6 21. ♞:f6+ ♕:f6 22. ♗g5 ♕f5 23. ♕:a6 ♞c3 24. ♖c1 ♞:d4 25. ♞:d4 ♕:g5 26. ♕d3 ♞d5 27. ♗:c8 ♖:c8 28. ♞e2 h6 29. h3 ♕e5 30. ♖b1 ♕f6 31. a4 ♖f8 32. f3 ♕g5 33. ♔h1 ♕h4 34. a5 ba 35. ba ♕f2 36. a6 ♞e3 37. ♖g1 ♖:f3 38. a7 ♖:h3+ 39. gh ♕f3+ 40. ♔h2 ♕f2+ 41. ♔h1 ♞a4.

გ. გამრეკელი.

* * *

გ. სანაიას ფოტო.

ფეხბურთში ხომ ორი ტაიმია

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი) — 0:0.

23 ივნისი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ა. ივანოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავამელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი (რეხვიაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ცსკა — ასტაპოვსკი, იანეკი, ზვიაგინცევი, ისტომინი, კაპლინი, ხისამუტდინოვი, დოლგოვი, კოპეიკინი, ფედოტოვი (ტელნენგური), პოლიკარპოვი, დოროფეევი.

საინტერესო სანახაობის მოლოდინში იყვნენ ფეხბურთის მოყვარულები. ჯერ ერთი, რომ ასპარეზობდნენ „ვერცხლისა და ბრინჯაოს საფეხურების“ ლიდერები. მეორეც ის, რომ მათ მხოლოდ ერთი ქულა ჰყოფდა და ბოლოს, თბილისელებს ხომ უნდა ეზრუნათ გასულ სეზონში ორგზის დამარცხების რევანშისათვის.

მოლოდინი თითქოს მართლდებოდა. ყოველ შემთხვევაში თამაში თავდაპირველად ისე წარიმართა, რომ ძნელი იყო გეფიფიქრა მის ესოდენ უშედეგო დასასრულზე.

უკვე პირველ წუთზე ყიფიანმა თავით „დაუდო“ ბურთი საჯარიმო მოედანში შემოჭრილ გ. ნოდიას, რომლის დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. ტრიბუნებზე მიმწყდარი არ იყო აპლოდისმენტები, ბურთი კი უკვე დინამოელთა კართან იქნა ჩაწოდებული სახიფათოდ, მაგრამ აქაც უშედეგოდ...

ათწუთიან დებიუტში არმიელთა კარი სულ ცოტა ოთხჯერ მაინც გადაურჩა მასპინძელთა თავბრუდამხვევ შეტევებს. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, მჭედლიშვილი დიდი სისწრაფით შედიოდნენ საჯარიმო მოედანში, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმები ყველა შემთხვევაში უნაყოფო იყო. რატომ? ცხადია, რომ ერთ შემთხვევაში ბურთი ცდებოდა მიზანს, მეორეში—შეუცდომლად თამაშობდა მეკარე ასტაპოვსკი. მესამეში — სცოდავდა თავდამსმელი. თავადვი ამ მატჩში კი მაინც ის იყო, რომ არმიელთა კარის მისადგომებთან შეტევის დროს, როგორც წესი, თავს იყრიდა 7-8 წითელმაისურიანი. ეს მასირებული ცოცხალი კედელი ყოველთვის უღობავდა გზას კარისკენ გაგზავნილ ბუთთებს. როგორც ჩანს, მოსკოველთა მწვრთნელმა ვ. ნიკოლაევის ძირითადი ამოცანა სწორედ ეს გახლდათ. თუ ასეა, არმიელებმა შეასრულეს თავიანთი მისია და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

მატჩის ტემპი თავდაპირველად მაღალი იყო. დინამოელთა სასახელოო უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში ისინი ხშირ შემთხვევაში 4-5 კაცით უტევენენ მეტოქის კარს. თავდამსხმელების გარდა შეტევაში მონაწილეობდნენ მაჩაიძე და მჭედლიშვილი, დროდადრო კი ძოძუაშვილი და პეტრიაშვილიც.

მაგრამ მატჩი ხომ ორი ტაიმისაგან შედგება! და, ცხადია, უნდა შეგეძლოს თანაბრად გამოიყენო შენი ძალები, ბოლომდე გაუძლო 90-წუთიან ბრძოლას. ეს ძვალი სათეხბურთო ეშმაკრიტებია, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, დაავიწყდათ თბილისელებს. ყოველ შემთხვევაში გუნდმა მეორე ნახევარში ვარაუდის საწინააღმდეგოდ ერთობ ინერტული და უფერული თამაში აჩვენა. დაიკარგა ყველაფერი: სწრაფი დრიბლინგი ზურგიდან და ფლანგებიდან, დროულად ბასელა მოწოდებულ ბურთებზე თერთოდაზღვევები, ტემპი, ერთი სიტყვით, ანსამბლი უკვე აღარ „ეღერდა“ პირველივეებიდან.

რა თქმა უნდა, მასპინძლები დაიდალნენ — მათ ყველა რგოლს დიდი ჯაფა დაადგა შესვენებამდე. მაგრამ ხომ არანაკლებ შრომობდნენ არმიელებიც. ძნელია ითქვას, რამდენი კილომეტრი „მოხაზეს“ მოედანზე დაუზარელმა ფედოტოვმა, სწრაფმა დოროფეევმა, ენერგიულმა პოლიკარპოვმა, ანდა, ვთქვათ, კარში დასარტყმელად ყოველთვის გამიზნებულმა კოპეიკინმა. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმში ისინი კვლავ თავდაუზოგავად იბრძოდნენ, როგორც ეტყვიან, იბრძოლენენ იმის სრული შეგნებით, რომ მატჩი ორი თანაბარი ტაიმისაგან შედგება.

უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ და, უნდა ვიფიქროთ, რამდენადმე მაღალმა ნებისყოფამაც ნარმატება კინაღამ სტუმრებს მოუტანა. თუ პირველ ნახევარში არმიელებს წინ მხოლოდ ორი „წმინდა“ თავდამსხმელი ყავდათ (კოპეიკინი და დოროფეევი). შესვენების შემდეგ წინა ხაზზე სულ ოფრო ხშირად ჩანდნენ პოლიკარპოვი და ფედოტოვი, შემდეგ კი მის ნაცვლად გამოსული ტელნენგური.

ასეა თუ ისე, დინამოელთა დაცვამ ამ მწვავე კონტრშეტევების დროს შეძლო გოგიას კარის უვნებელყოფა. რაც შეეხება თავდამსხმელებს, მათაც შექმნეს საგოლო მომენტები მეტოქის კართან, თუმცა გ. ნოდიას, ყიფიანისა და ორჯერ რეხვიაშვილის ძლიერ დარტყმებს არაფერი არ შეუცვლიათ — 0:0.

ო. ნოზაძე.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 24 ივნისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	9	2	2	23-10	20
„დინამო“ (თბ.)	6	3	2	13-5	15
ცსკა	6	2	3	13-9	14
„ტორპედო“	4	4	4	10-14	12
„დნეპრი“	3	6	3	11-16	12
„სპარტაკი“	4	3	3	10-9	11
„დინამო“ (კ.)	4	3	3	13-12	11
„დინამო“ (მნ.)	3	5	3	9-10	11
„არარატი“	3	4	4	15-10	10
„ზენიტი“	3	4	4	14-15	10
„ნეფტჩი“	3	3	4	8-9	9
„კაირატი“	1	7	4	8-11	9
სკა	3	3	6	12-17	9
„კარპატი“	3	3	6	9-14	9
„დინამო“ (ბ.)	3	2	4	9-11	8
„ლოკომოტივი“	2	4	5	7-12	8

ს. ტაბუნოვი

ბანგრძელი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] 1917 წლიდან სოლომონ პეტრეს-ძე ტაბუნოვი.

სოლომონ პეტრეს-ძე ტაბუნოვი დაიბადა 1885 წელს ზნაურის რაიონის სოფელ გვირგვინაში. 1903 წელს დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის დეპო ულუბანლუში ჯერ ზენკლის მოწაფედ, მერე კი ზენკლად. ამ პერიოდიდან დაიწყო მუშაობა მარქსისტულ წრეებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1904-1905 წლების გაფიცვებში.

1905 წლის დამლევს დათხოვნილ იქნა სამსახურიდან როგორც „მეამბოხე“ და იძულებული გახდა სამუშაოდ გადასულიყო ბაქოს ნავთობის საწარმოში. აქ იგი იღებდა აქტიურ მონაწილეობას მარქსისტული წრეების მუშაობაში.

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე ტაბუნოვი გაწვეულ იქნა ჯარში და გაიგზავნა თურქეთის ფრონტზე. ჯარიდან დიმობილიზაციის შემდეგ, 1916 წლიდან დაიწყო მუშაობა ზენინლაღ თბილისის ტრამვაის სახელოსნოში, სადაც მონაწილეობდა რევოლუციურ მუშაობაში. აქ იგი 1917 წელს მიღებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1918 წელს მენშევიკების მიერ დევნის გამო ტაბუნოვი იძულებული გახდა გადასულიყო სოფელში საცხოვრებლად და სამუშაოდ.

1918-1919 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯელეხოა აჯანყებაში მენშევიკების წინააღმდეგ ცხინვალის, ხაშურის და საჩხერის მაზრებში.

მენშევიკური მთავრობის დამარცხების შემდეგ 1921-24 წლებში მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1924 წლის 15 მარტიდან — თბილისში ამიერკავკასიის რაინიგზაზე, სადაც იმუშავა 40 წელზე მეტი.

ბოლო წლებში იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. მიღებული ჰქონდა საკავშირო მთავრობის ჯილდოები.

ძველი ბოლშევიკის, გულსსმიერი ამხანაგისა და ენერგიული მუშაკის ს. ტაბუნოვის სხვენა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენი სტუმრები

□

მაქსველ სტენლი: საბჭოთა ადამიანები განუხრელად ესწრაფვიან მშვიდობას

□

საქართველოში მესამე დღეა სტუმრად არის „სტენლი კონსულტანის“ ფირმის მეთაური, სტენლის ფონდის პრეზიდენტი მაქსველ სტენლი მეუღლითურთ. იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ამერიკელ სტუმრებს აინტერესებთ საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარე. თელავის რაიონში მათ დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, გაეცნენ სოფლის მეურნეობას. 23 ივნისს მაქსველ სტენლი შეხვდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ი. აბაშიძეს, რომელმაც გააცნო ქართული მეცნიერების განვითარება. საუბარში, რომელსაც დაესწრო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის სექტორის გამგე ი. ბარსეგოვი, მონაწილეობდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, ამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ლანდია.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მაქსველ სტენლის დაეხასიათებინა ამოცანები, რომლებიც დგას მის მიერ დაარსებული ფონდის წინაშე. — მისი მთავარი მიზანია, თქვა მან, ხელი შეუწყოს კვლევას და ინფორმაციების გაცვლას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების პრობლემებზე, მტკიცე საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევას ამ დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების განმტკიცების გზით.

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, განაცხადა შემდეგ მაქსველ სტენლიმ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სასარგებლოდ მიმაჩნია ჩვენი ქვეყნების ლიდერთა მოლაპარაკების შედეგები, რომელიც მოსკოვში გაიმართა მაისში.

მაქსველ სტენლიმ ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტმა საბჭოთა კავშირში სტიმული მისცა ამერიკაში სსრ კავშირთან კულტურული და მეცნიერული გაცვლის გაფართოებას.

„სტენლის ფონდის“ მეთაურმა დასასრულ თქვა:

— ეს ჩვენი პირველი მოგზაურობაა საბჭოთა კავშირში და იგი მეტად სასარგებლო და სასიამოვნო აღმოჩნდა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ შევიტყეთ და გამოვარკვიეთ, რომ გვაქვს ბევრი საერთო ინტერესი, რომლებსაც, ჩემი აზრით, შეიძლება მოჰყვეს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. ჩვენს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ადამიანების განუხრელმა მისწრაფებამ მშვიდობისაკენ.

„სტენლის ფონდის“ აქტიურმა მონაწილემ ქალბატონმა სტენლიმ აღნიშნა, რომ იგი და მისი მეუღლე აღტაცებული არიან საქართველოს მდიდარი ისტორიითა და უძველესი კულტურით. მაგრამ უმთავრესი ის არის, თქვა მან, რომ შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებმაც გამოიჩინეს დიდი სამუშაო-მოყვარეობა და კეთილმსურნეობა, გაგვეცნო მათი ცხოვრება, შრომა, დაგვემყარებინა მათთან კონტაქტი.

მაქსველ სტენლი და მისი მეუღლე 24 ივნისს თბილისიდან ერევანში გაემგზავრებიან. (საქინფორმი).

მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის

მეან-გინეკოლოგთა ლოზანას სრულიად ევროპის კონგრესზე

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ოთხ დღეს მიმდინარეობდა მეან-გინეკოლოგთა სრულიად ევროპის კონგრესი, რომლის მუშაობაში ევროპის ქვეყნების გარდა მონაწილეობას იღებდნენ აზიის, ამერიკის სახელმწიფოების გამოჩენილი მედიკოსი მეცნიერები, სულ 1500 დელეგატი. საბჭოთა კავშირიდან კონგრესს ესწრებოდნენ და მოხსენებებით გამოვიდნენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფესორი **ლ. გორმაშოვა** (ლენინგრადი), პროფესორები **გ. პალადი** და **ა. ტაბოლინი** (მოსკოვი) და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეანო-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და რესპუბლიკის ექვთმი დახილოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **კ. ჩაჩავა**. კონგრესი ეძღვნებოდა სრულიად ახალ დარგს — პერინატალურ მედიცინას.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ლ. ხუბულური** შეხვდა პროფესორ **კ. ჩაჩავას** და მიმართა მას რამდენიმე კითხვით:

— გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, განგვიმარტოთ, რას წარმოადგენს პერინატალური მედიცინა და რა როლს ანიჭებენ მას?

— პერინატალური მედიცინა სავსებით ახალი დარგია. იგი შეისწავლის ქალის ორსულობის უკანასკნელ პერიოდს და ახალშობილი ბავშვის მდგომარეობას მისი დაბადებიდან უახლოეს პერიოდში.

იმისათვის, რომ მომავალში გვყავდეს ჯანმრთელი თაობა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალის ორსულობის ხანას და ამ პერიოდში მასზე ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორების გავლენას, როგორიც არის, მაგალითად, ფარმაკოლოგიური და ქიმიური საშუალებანი. ყოველივე ის, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე არა მარტო დაბადებამდე, არამედ დაბადების შემდეგაც.

ამიტომაც იყო, რომ ლოზანას კონგრესი მოლიანად მიეძღვნა პერინატალური მედიცინის აქტუალურ საკითხებს. და მან მსოფლიო ხასიათი მიიღო. კონგრესის მუშაობაში მეან-გინეკოლოგების გარდა მონაწილეობას იღებდნენ პედიატრები, ფარმაკოლოგები, პათოფიზიოლოგები, გენეტიკოსები და მედიცინის სხვა დარგების წარმომადგენლები.

— რა მნიშვნელოვანი საკითხები იქნა კონგრესზე მოსმენილი და რომელ მეცნიერთა გამოსვლამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ საკითხის განხილვას, თუ რა გავლენას ახდენს ორსულ ქალზე ზოგიერთი ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყენება და რა უარყოფით როლს თამაშობს იგი შემდგომში ბავშვის განვითარებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვისმინეთ ბევრი გამოჩენილი მეცნიერის მოხსენება.

გამოირკვა, რომ ნაყოფის ზრდასთან ერთად მატულობს მისი ღვიძლის დაცვითი უნარიანობა ფარმაკოლოგიურ და ქიმიურ საშუალებათა მიმართ. ამ საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში იტალიელი პროფესორი სერენი. პროფესორ გუბერის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოხსენებაში ნათლად ჩანდა, თუ რა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ექიმმა ორსული ქალისათვის სამკურნალო საშუალებათა დანიშვნის დროს. ამ დროს უაღრესად ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული სამკურნალო საშუალებათა მოქმედების უნარი და მათი დოზირება. სიფრთხილეს მოითხოვს ისეთ სამკურნალო საშუალებათა გამოყენება, როგორიც არის ტეტრაციკლინი, პროგესტერონი, სტრეპტოციდი, ანტიბიოტიკური საშუალებანი და ზოგიერთი ისეთი პრეპარატი, რომლებიც მოქმედებენ სისხლის შემდედებელ სისტემაზე. უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ზოგიერთი ვიტამინებითა და გლუკოზით გატაცება.

— რა საკითხებით წარსდგნენ საქართველოს მეან-გინეკოლოგები კონგრესზე?

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირიდან სულ კონგრესზე მოსასმენად წარდგენილი იყო 11 მოხსენება, აქედან 7 მოხსენება იყო საქართველოდან, კერძოდ ჩვენი ინსტიტუტისა და ექვთმოა დასელოვნების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკებისა. სასიამოვნოა ითქვას, რომ ჩვენმა მოხსენებებმა კონგრესის მონაწილეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჩვენ მიერ პირველად იქნა გამორკვეული, რომ ზოგიერთი ქიმიური საშუალება დიდ გავლენას ახდენს სქესის ჩამოყალიბებასა და მის წარმართვაზე, რასაკვირველია, ეს ეჭსპერიმენტში იქნა განხორციელებული.

ასევე დიდი წარმატება მოიპოვა ქართველი მეან-გინეკოლოგების მიერ დამუშავებულმა ფიზიკურმა და ელექტროფიზიოლოგიურმა ექსპერიმენტალურ-ანესთეზიკურმა მეთოდებმა, რომლებიც საშუალებას იძლევიან სრულყოფილი ინფორმაცია მივიღოთ მშობიარობის, ე. ი. დაბადების მომენტში ბავშვის მდგომარეობის შესახებ. ამ პერიოდში ვიგებთ, როგორია ბავშვის გულსისხლძარღვთა, ცენტრალური ნერვული სისტემის, სისხლის მიმოქცევის, ტვინის მდგომარეობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გადარჩენისათვის.

კონგრესზე წარდგენილი მოხსენებების ავტორები არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ვაშაკიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ა. ზარაქაძე, მ. დევდარიანი, ი. ჟორდანია; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ერისთავი, ნ. ლოლაძე, ნ. ჯიქია, ა. ბერულავა, ლ. შუკაკიძე, ვ. მანგალაძე. საერთო ხელმძღვანელი ვიყავი მე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონგრესზე მსოლოდ ჩვენმა შრომებმა დაიკავა პირველად საკითხი იმის შესახებ, რომ ნაყოფიდან მიღებული ინფორმაცია მისი ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე მეტად მნიშვნელოვანია და ზოგჯერ მას გადამწყვეტი როლი ენიჭება ნაყოფის მდგომარეობის დასადგენად.

ქართველ მეან-გინეკოლოგთა დამსახურებაა ისიც, რომ ყველა ეს ახალი მეთოდი დღისა და ბავშვის მდგომარეობის დადგენის შესახებ უკვე დანერგილია ჩვენი და ზოგიერთი სხვა ქვეყნების კლინიკებში და მას იყენებენ ყოველდღიურ პრაქტიკაში.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ბოლო ამბები

ფეხბურთი

მატჩები, შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა მორიგი ტურის მატჩები „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

ლიდერმა ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ კვლავ წარმატებით იასპარეზა საკუთარ მოედანზე, დიდი ანგარიშით დაამარცხა ლვოვის „კარპატი“ — 4:1.

მეორეს კარში ოთხი ბურთი გაიტანა ავრეთვე ერევნის „არარატმა“, რომელიც ლენინგრადის „ზენიტს“ მასპინძლობდა. ანგარიშია 4:2.

მოსკოვის დინამოელები საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ მინსკელ თანაკლუბელებთან—0:1.

ფრედ — 1:1 დამთავრდა ჩემპიონოს— კიევის „დინამოს“ ასპარეზობა ალმა-ატაში „კაირატთან“.

ბოლო აღგილადან დაიძრა დონის როსტოვის „სკა, რომელმაც დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — 4:0.

ბაქოს „ნეფტჩის“ შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან“ შეწყდა თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ელექტროგანათების მოშლის გამო, როცა ანგარიში 0:0 იყო. ეს მატჩი გადათამაშდება.

ამიდინარე წელს 7 ათასზე მეტი ადამიანი დაისვენებს კურორტ საირმეში, რომელიც ზღვის დონიდან 950 მეტრზე მდებარეობს.

საირმის მინერალურ წყლებს იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების დაავადებათა მკურნალობისათვის.

ამ დღეებში კურორტმა საირმემ ახალი საკურორტო სეზონის პირველი დამსვენებლები მიიღო. **სურათზე:** კურორტ საირმეს ხედი.

გ. მერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კურორტებზე

სპორტი

მზის ჰიმნის ჯრიზისათვის

ლენინგრადი. 22 ივნისი. (საკადესის კორ.). ბოლოს თასს „მზის ჰიმნს“, რომელიც ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალის „თეთრი ღამეების“ მთავარი პრიზია, წაიღებს ლენინგრადიდან სსრ კავშირის ქორეოგრაფიულ სასწავლებელთა დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებული. კონკურსი დღეს დაიწყო ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენაზე. აქ ორი დღის განმავლობაში თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ესტონეთის წარმომადგენლნი.

120 ნორჩი მსახიობის ხელოვნებას შეაფასებს ჟიური, რომელშიც შედიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. კოლპაკოვა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები ი. გუბკოვსკაია და ნ. კურგაკინა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ვ. სემიონოვი.

ტელევიზია

24 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — ზოგად ფიზიკაში, 12.10 — კინონარკვევი — „რადიოშეკვის სახელობის“, 12.40 — „სსრკ-50“ — დოკუმენტური ფილმი. „ყრილობიდან ყრილობამდე“ (ქართულ ენაზე), 13.30 — „საესტრადო პანორამა“, 14.00 — მხატვრული ფილმი — „დედოფლის რაინდი“, 15.25 — „შევსწავლოთ ავტომობილი“, 15.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადაცემა მოსკოვიდან), 17.00 — კინონარკვევი — ორი კილომეტრი მზისაკენ“, 17.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ტელეპროექტორი“, 17.30 — „სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ძიება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ალოობის დღეებია, 19.15 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“ — „ტექნიკა სწავლების სამსახურში“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კრუპი და კრუპზე“ — მე-3 სერია (ქართულ ენაზე), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სსრკ-50“. საბჭოთა კომპოზიტორები — ანდრეი პეტროვი.

მეორე პროგრამით

19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 20.05 — კონცერტი, 20.35 — უნგრული მხატვრული ფილმი — „ოქროს ხელთათმანის რაინდები“ (პირველი სერია).

25 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექციები ფიზიკაში, 12.20 — სსრ კავშირის ისტორიაში, 13.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „დაუსტვინეთ ყველას ზემოთ“, 14.45 — კინონარკვევი — „მომთაბარე“, 15.00 — „კინოაფიშა“, 15.25 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 15.55 — კინონარკვევი, 16.20 — მოსწავლეთათვის. ქართული ხალხური სანახაობა, 16.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. კინოალმანახი — „ვარსკვლავი“, 2. მულტპანორამა, 18.50 — „25 ივნისი — საბჭოთა ახალგაზრდობის დღე“. 20.30 — „სსრკ-50“. „მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნება“ — ბელორუსია. 21.30 — მხატვრული კინოხელოვნების ოსტატები — „ვ. საღარაძე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სსრკ-50“ — მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება.

მეორე პროგრამით

19.25 — კონცერტი, 20.00 — უნგრული მხატვრული ფილმი „ოქროს ხელთათმანის რაინდები“ (მეორე სერია).

თეატრები

24 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გუშინდელნი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური —